4 107 № 10.135

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

5 დეკემბერი, შაბათი, 1987 წ. № 23 (3025) 5 ДЕКАБРЯ, СУББОТА, 1987 г. ◆ ფასი 3 კაპ. ЦЕНА 3 КОП.

## კანონი ყველასათვის ერთია

**კაცობრიობის** განვითარებისა და ცივილიზაციის საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა და ასრულებს კანონები, კანონით რეგულირდება რთული, საზოგადოებრივი ურთიერთობანი.

საბჭოთა კანონის განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა იქიდანაც ჩანს, რომ მას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იღებს, რომელშიც მთელი ჩვენი მრავალმილიონიანი მოსახლეობის ნება-სურვილია გამოხატული. კანონს უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს, რომლის უყოყმანოდ, უმწიკვლოდ და პატივისცემით შესრულება ყველასათვის საკონსტიტუციო მოვალეობაა. აქედან გამომდინარე კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესებას. პარტია მოითხოვს აღვზარდოთ მოსახლეობა კანონის პატივისცემის სულისკვეთებით, უპირველესად კი თანამდებობის პირები. საბჭოთა ადამიანების მართლშეგნება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ისინი თანამდებობის პირთა მოქმედებას კანონის დაცვის მიმართ. ვერავითარი საუბრებით ვერ გამოვასწორებთ მართლშეგნების დეფექტებს, თუ მოქალაქე ხედავს, რომ ესა თუ ის თანამდებობის პირი დაუდევრად ეკიდება კანონს, უხეშად არღვევს ან გვერდს უვლის მას.

დღეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშრომელებისათვის მოქმედი კანონის გაცნობა-განმარტებას. ამ მიმართულებით რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები, მეცნიერი იურისტები და პრაქტიკოსები სისტემატურად უნდა ხვდებოდნენ მშრომელებს, ახალგაზრდობას, რათა გაათვითცნობიერებინონ მათ მოქმედი კანონმდებლობის არსი, კანონის მიზნები და ამოცანები. ყოველი მშრომელი საბჭოთა ადამიანი უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას თავისი ქცევისათვის, უფრთხილდებოდეს თავისი კოლექტივის ღირსებასა და პრესტიჟს, რისთვისაც პატივისცემით და მოკრძალებით უნდა ასრულებდეს კანონებს. კანონის უმწიკვლოდ შესრულების აუცილებლობა მშობლებმა უნდა შთაუნერგონ შვილებს, დღენიადაგ ასწავლონ და გააცნონ მათ ის მკაცრი შედეგები, რომლებიც მოჰყვება კანონის დარღვევის ყოველ ცალკეულ შემთხვევას დანაშაულებრივი ქმედითობის ჩადენისას.

კანონიერების დარღვევის შემთხვევები ჯერ კიდევ როდია ამოძირკვული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი უკომპრომისო ბრძოლას ეწევა კანონიერების დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

მთელ ჩვენს დიად ქვეყანაში რევოლუციური ხასიათის დაჩქარებული გარდაქმნები მიმდინარეობს, სწორდება წარსულში დაშვებული შეცდომები. გარდაქმნის გზაზე გარკვეული ნაბიჯი გადადგეს რესპუბლიკის სამართალდაცვითმა ორგანოებმა. დღეს სერიოზული ყურადღება ექცევა სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების გაძლიერების აუცილებლობას. ამის ნათელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ნოემბრის დიდმნიშვნელოვანი დადგენილება „სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“. დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია სოციალისტური კანონიერების, მართლწესრიგის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის საქმეში არსებულ სერიოზულ ხარვეზებსა და ნაკლოვანებებზე.

ქვეყანაში და, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაში არცთუ ისე იშვიათად ხდება სერიოზული გადახრები სამართლის ნორმებისაგან. საკმაოდ გავრცელებულია შრომის კანონმდებლობის, ბინების განაწილების დადგენილი წესის და სხვა დარღვევები. შესუსტებულია ბრძოლა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების ხელყოფის, სხვა ანგარებითი დანაშაულობების წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ, დღეს საჭიროდ არის მიჩნეული სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის გარდაქმნა, რათა ისინი საიმედოდ იცავდნენ სახელმწიფოს ინტერესებსა და მოქალაქეთა უფლებებს, კიდევ უფრო ეფექტიანად ებრძოდნენ სამართალდარღვევებსა და დანაშაულობებს, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მშრომელებთან, გვიჩვენებდნენ კანონიერების უმკაცრესი დაცვის მაგალითს.

რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების რთული და დაძაბული მუშაობის პრაქტიკიდან მთლიანად უნდა გამოირიცხოს დაუსაბუთებელ დაკავება-დაპატიმრებათა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოქალაქეთა უკანონოდ გადაცემის, კონკრეტული საქმეების გამოძიებასა და სასამართლო გარჩევაში ჩარევის ცალკეული ფაქტები.

კანონის უმწიკვლოდ და პატივისცემით შესრულების საქმეში უდიდესი როლი უნდა შეასრულონ შრომითმა კოლექტივებმა, სადაც ენერგიულად უნდა იბრძოდნენ საბჭოთა კანონებისა და მთავრობის დადგენილებათა განუხრელი შესრულებისათვის. კანონის დარღვევის არც ერთი ცალკეული შემთხვევა არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე.

საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, აღნიშნავს მ. ს. გორბაჩოვი, კვლავ უცვლელ ამოცანად რჩება საბჭოთა კანონების მთელი ძალის გამოყენება დამნაშავეობისა და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა ადამიანები ყოველ დასახლებულ პუნქტში გრძნობდნენ სახელმწიფო ზრუნვას მათი სიმშვიდისა და ხელშეუხებლობისათვის, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვერც ერთი სამართალდამრღვევი ვერ წაუვა საკადრის სასჯელს.

ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კანონების მტკიცე და განუხრელი შესრულება კომუნისტური საზოგადოების წარმატებული მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. სოციალისტური კანონიერების, მოქალაქეთა უფლებების მკაცრად დაცვის უზრუნველყოფას თანამედროვე ეტაპზე პარტია მიიჩნევს მიმდინარე გარდაქმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და განუყოფელ მხარედ.

ისინი, ვინც არღვევენ მოქმედ კანონებს, აფერხებენ დაჩქარებას, ქვეყნის წინსვლას. გარდაქმნის ამოცანა უშუალოდ არის დაკავშირებული სოციალისტური კანო-

**(დასასრული მე-2 გვ-ზე.)**

## ოფიციალური ინფორმაცია

1 დეკემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მასობრივი ინფორმაციის ცენტრალურ და რესპუბლიკურ საშუალებათა ხელმძღვანელების, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკების თათბირი, რომელიც მიეძღვნა გარდაქმნის ახალ ეტაპზე, დემოკრატიზაციისა და კარდინალური ეკონომიკური რეფორმის პროცესების განვითარების პირობებში მათი მუშაობის საკითხებს. თათბირის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი.

ვიმუშაოთ, ვიაზროვნოთ და პასუხი ვაგოთ. სწორედ ამ თვალსაზრისით არის ლაპარაკი საზოგადოების გაჯანსაღებაზე. ასეთი გაჯანსაღება არ შეიძლება გავიგოთ მხოლოდ როგორც დამნაშავეობის, კორუფციის, თვალისახვევის, უყაირათობის, წუნისმკეთებლობის, ლოთობისა და მსგავსი რამეების თავიდან მოშორებად. ასეთი მოვლენები საერთოდ არ უნდა იყოს — არის გარდაქმნა თუ არა — აღნიშნა მან თავის გამოსვლაში, რომელიც გამოქვეყნდა 4 დეკემბრის ცენტრალურ პრესაში.

2 დეკემბერს საკავშირო და რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ინტერვიუ ამერიკის ენ-ბი-სის ეროვნული ტელეკომპანიის კორესპონდენტ ტ. ბროკაუსთან.

საუბრისას ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა აზრი გამოთქვა მრავალ საერთაშორისო და საშინაო პრობლემებზე, მადლობა გადაუხადა ამერიკელ ტელემაყურებლებს ამერიკის მიწა-წყალზე შეხვედრამდე.

1 დეკემბერს მ. ს. გორბაჩოვი კრემლში შეხვდა ავსტრალიის პრემიერ მინისტრს რ. ჰოუკს. შეხვედრაში მონაწილეობას ღებულობდნენ ე. ა. შევარდნაძე, ა. თ. დობრინინი და უ. ჰეიდენი.

ამავე დღეს კრემლში დამთავრდა ნ. ი. რიჟკოვისა და ე. ა. შევარდნაძის მოლაპარაკება რ. ჰოუკთან. ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ავსტრალიის დოკუმენტებს.







## Комсомольской учебе — деловой настрой

1 декабря в комсомольском городке Борис Дзнеладзе на базе Республиканской комсомольской школы ЦК ЛКСМ Грузии начались учебные занятия секретарей первичных комсомольских организаций органов и подразделений внутренних дел республики. На открытии занятий, которые по традиции проводятся по окончании отчетно-выборной кампании в комсомольских организациях, присутствовали секретарь ЦК ЛКСМ Грузии М. Харатишвили и начальник политического отдела МВД ГССР полковник милиции А. Анкваб.

В ходе учебы ответственные сотрудники ЦК ЛКСМ Грузии, научные и практические работники республики провели с секретарями первичных комсомольских организаций теоретические и практические занятия по наиболее актуальным вопросам современного этапа развития советского общества, комсомольского строительства. Особый интерес вызвали лекции «Содержание и цели ускорения социально-экономического развития советского общества» и «XXVII съезд КПСС об основных направлениях перестройки идеологической, политико-воспитательной работы в современных условиях», прочитанные заведующим кафедрой марксистско-ленинской теории Института управления народного хозяйства республики профессором Г. Мучаидзе. Важную роль в плане пополнения багажа практических знаний секретарей комсомольских организаций сыграли занятия на темы: «ВЛКСМ — общественно-политическая организация молодежи, активный помощник и резерв КПСС», «Устав ВЛКСМ и дальнейшее углубление внутрисоюзной демократии», «XX съезд ВЛКСМ о повышении активности и самодеятельности, расширении прав первичных комсомольских организаций», прочитанные преподавателями Республиканской комсомольской школы А. Меишвили и М. Накани.

Помимо теоретических состоялись и практические занятия, в ходе которых была изучена структура ВЛКСМ, рассмотрены вопросы планирования работы комитетов комсомола и первичных комсомольских организаций, организация подготовки и проведения собраний и их влияние на повышение активности комсомольцев, пути дальнейшего улучшения идейно-воспитательной работы с молодежью, актуальные вопросы подбора, расстановки, обучения и закрепления кадров в органах внутренних дел. Был проведен также «круглый стол» с участием работников ЦК ЛКСМ Грузии, МВД ГССР, республиканских молодежных газет «Ахалгазрда комунисти» и «Молодежь Грузии» на тему «XX съезд ВЛКСМ об основных направлениях перестройки в комсомоле».

В обстановке конкретности и деловитости прошла состоявшаяся 3 декабря встреча секретарей комсомольских организаций с начальником политического отдела МВД ГССР, полковником милиции А. Анкваб, который дал четкий анализ работы, проделанной по перестройке дея-

**(Окончание на 2 стр.).**

**НА СНИМКАХ:** учебные занятия вступительным словом открывает секретарь ЦК ЛКСМ Грузии М. Харатишвили; лекционное занятие ведет профессор Г. Мучаидзе.

# კანონი ყველასათვის ერთია

(დასასრული)

ნიერების შემდგომ განმტკიცებასთან. მთელი ჩვენი საზოგადოების სამართლიან აღშფოთებასა და გულისტკივილს იწვევს, როცა სამართალდაცვითი ორგანოების ზოგიერთი მუშაკი არღვევს მატერიალურ თუ პროცესუალურ კანონებს, მოქალაქეთა საჩივრების მიმართ იჩენს ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, აჭიანურებს საქმის განხილვას, ბოროტად იყენებს სამსახურებრივ მდგომარეობას.

სწორედ ამ მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის იანვრის პლენუმმა სამართალდაცვითი ორგანოების კადრებთან მუშაობის თვისებრივად გაუმჯობესების ამოცანა დასახა და პლენუმის დადგენილებაში ჩაწერა, რომ ის, ვინც მართლწესრიგის საქმეს ემსახურება, თავად უნდა იყოს კრისტალურად სპეტაკი კანონის წინაშე, პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმზე (1987 წ. 25 აპრილი) გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. ჯ. ი. პატიაშვილმა აღნიშნა, რომ მუშაობის საგრძნობი გააქტიურების მიუხედავად, ვერ ვიგრძენით მოსალოდნელი თვისებრივი ძვრები ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობაში. ბევრი მუშაკის მიმართ თვით საზოგადოებრივი აზრიც ვერ არის მთლად სახარბიელო.

გარდაქმნის პერიოდში თვისებრივად იზრდება როლი, მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა სამართალდაცვითი ორგანოების მეტად რთული საქმიანობისათვის. სამართალდაცვითმა ორგანოებმა უმკაცრეს ღონისძიებებს უნდა მიმართონ სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევების აღსაკვეთად, ობიექტურობის, სამართლიანობისა და საჯაროობის დასამკვიდრებლად.

პარტია აძლიერებს და ამწვავებს ბრძოლას იმათ მიმართ, ვინც ეკონომიკურ და მორალურ ზიანს აყენებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ვინც არღვევს მოქმედ საბჭოთა კანონებს. პარტიას თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მართლწესრიგის, კანონიერების განმტკიცება, პიროვნების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფა, საბჭოთა ადამიანების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, რასაც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად იწონებენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები.

**დ. ცინცაძე,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.**

გაზეთი „კომუნისტი"

# Комсомольской учебе — деловой настрой

ОКОНЧАНИЕ.

тельности органов внутренних дел республики, подчеркнул необходимость повышения активности комсомольцев для решения стоящих перед министерством задач.

На встрече откровенно и по-деловому были обсуждены многие важные вопросы работы комсомольских организаций ОВД республики. Большое внимание было уделено решению конкретных задач оперативно - служебной деятельности, кадровым вопросам, улучшению условий труда и быта молодежи органов внутренних дел, организации свободного времени и созданию в системе министерства молодежных клубов. В заключение встречи полковник милиции А. Анкваб ответил на многочисленные вопросы участников учебы, пожелал им быть настоящими вожаками молодежи, активными участниками ведущейся в системе министерства перестройки.

Помимо учебной программы для участников занятий были организованы осмотры комсомольского городка Борис Дзнеладзе, комнаты боевой славы в Доме культуры им. Ф. Э. Дзержинского, встречи с творческой молодежью г. Тбилиси, коллективные просмотры кинофильмов. В перерыве между лекциями мы попросили поделиться своими впечатлениями участников занятий.



**М. ХЕРХЕУЛИДЗЕ,**
**лейтенант милиции, инспектор приемника - распределителя ЛОВД ст. Тбилиси-узловая, участница Всесоюзного слета молодых сотрудников ОВД в Москве.**

Учеба секретарей первичных комсомольских организаций играет большую роль в повышении их идейно-теоретического и практического уровня, помогает в решении наиболее острых проблем и наболевших вопросов. В ходе занятий мы получили очень полезную информацию по ряду важных практических вопросов, что позволит нам в дальнейшем более четко планировать и осуществлять работу в наших комсомольских организациях. Очень нравится непосредственная, по-настоящему творческая обстановка, которая царит на занятиях, возможность общения с товарищами по работе из разных регионов республики, обмена накопленным опытом работы. Думается, что подобные встречи нужно проводить как можно чаще — ведь польза их очевидна.



**М. СУРГУЛАДЗЕ,**
**лейтенант внутренней службы, инженер подразделения УИТУ МВД ГССР.**

Прежде всего хочется выразить благодарность всем организаторам занятий, которые сделали все возможное для плодотворного обучения комсомольских активистов ОВД республики. Нынешние занятия, в отличие от прошлых лет, проходят очень интересно, дают много пищи для ума, учат работать творчески, преодолевать набившие оскомину стереотипы. Много очень интересных фактов узнали мы из лекций профессора Г. Мучаидзе, в ходе практических занятий освежили и пополнили свои знания, что поможет нам в дальнейшей практической деятельности по перестройке комсомольской работы, повышению активности молодых сотрудников органов внутренних дел республики.



**Р. ЛАСУРИЯ,**
**лейтенант милиции, участковый инспектор Очамчирского РОВД.**

Подобные занятия приносят большую пользу благодаря не только сумме полученных знаний, но и созданной на них атмосфере откровенности, живого непосредственного общения молодежи. Идет очень плодотворный для всех обмен мнениями, все наболевшие вопросы обсуждаются открыто. Если раньше было желание навести порядок, но сковывали формальные ограничения, то сейчас этого нет. На всех занятиях, встречах чувствуются веяния нашего времени, процесса расширения гласности и демократии. И нам, комсомольцам, для того, чтобы быть в авангарде идущей по всей стране перестройки, необходимо учиться работать в новых условиях, постоянно совершенствовать свои теоретические и практические знания. Именно в решении этих задач проходящие сейчас учебные занятия, информация и опыт, полученные на них, окажут нам неоценимую помощь в повседневной работе.



**А. ГОЯЕВ,**
**старший лейтенант милиции, следователь Джавского РОВД.**

Учебные занятия, помимо разнообразных и полезных знаний, дают хорошую возможность откровенно обсудить положение дел в наших комсомольских организациях, ход выполнения решений XX съезда ВЛКСМ. Особую ценность представляет возможность обменяться опытом проделанной работы, проанализировать достигнутые успехи, найти причину все еще имеющихся недостатков. Ведь не секрет, что перестройка работы комсомольских организаций идет не во всех подразделениях гладко и подобные занятия должны помочь подтянуться отстающим, сыграть свою роль в повышении активности молодежи, боевитости комсомольских организаций.

**Материал подготовил**
**А. ЦАТУРОВ.**



# В ДУХЕ ТРЕБОВАНИЙ ВРЕМЕНИ

**Необходимость постоянного совершенствования оперативно-служебной деятельности ОВД республики настоятельно требует использовать новые, прогрессивные формы подбора и расстановки кадров. Руководствуясь решениями январского (1987 г.) Пленума ЦК КПСС, Управление кадров МВД ГССР совместно с политическим отделом и партийным комитетом министерства выработали и приступили к реализации практических мероприятий по перестройке и совершенствованию кадровой работы в системе министерства.**

**Данные мероприятия предусматривают всемерное внедрение и расширение таких прогрессивных демократических форм решения кадровых вопросов, какими являются гласность и коллегиальность. В соответствии с этими принципами в системе министерства получил распространение метод выборности сотрудников на руководящие должности путем широкого обсуждения соответствующих кандидатур в коллективах органов и подразделений внутренних дел.**

**За истекший с начала года период Управлением кадров министерства совместно с руководством и личным составом соответствующих органов внутренних дел было организовано избрание на руководящие должности четырех сотрудников: капитана милиции Г. Русишвили — на должность начальника паспортного отделения Кировского РОВД г. Тбилиси, майора милиции Н. Батиашвили — на должность начальника отделения по руководству участковыми инспекторами Руставского ГОВД, капитана милиции О. Брегвадзе — на должность старшего следователя Горийского РОВД, капитана милиции Ф. Акперова — на должность старшего участкового инспектора милиции Марнеульского РОВД.**

**Следует отметить, что во всех перечисленных случаях обсуждения кандидатур в коллективах носили деловой и принципиальный характер. Участники собраний взыскательно подходили к оценке качеств выдвинутых кандидатур, нелицеприятно указывали на их слабые стороны, требующие устранения в дальнейшей работе, и на основе такого всестороннего обмена мнениями приходили к общему решению.**

**Избранные сотрудники в настоящее время успешно справляются со своими служебными обязанностями, четко выполняют взятые на себя при избрании обязательства, старательно следуют в работе наказам и рекомендациям коллектива. С учетом положительного опыта состоявшихся выборов сотрудников на руководящие должности эта практика будет продолжена и в будущем.**

**П. ГНЕЗДЮКОВ,**
**капитан внутренней службы, старший инспектор отдела комплектования УК МВД ГССР.**

# დროა წესრიგი დავამყაროთ

**თბილისში,** რკინიგზის საკვანძო სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყოველ ცისმარე დღეს თავს იყრიან რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, რომლებიც საკოლმეურნეო ბაზრის ნაცვლად თავიანთ ნამეტ პროდუქტებს უშუალოდ ვაგზლის წინ ჰყიდიან. გარდა იმისა, რომ იქმნება უსაფრთხო მოძრაობისათვის ხელისშემშლელი პირობები, უხეშად ირღვევა მოსახლეობიდან ფულადი სახსრების მოზიდვისა და საკასო დისციპლინის დაცვის კანონით დადგენილი წესი.

მაგალითად, 22 ოქტომბერს დღის 4 საათზე სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე ხილსა და სხვა პროდუქტებს ყიდდა 140-მდე კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობის მუშა, იქვე იდგა ვაშლით, მსხლით, პამიდვრით, ყურძნით და სხვა პროდუქტებით დატვირთული 18 ავტომობილი. 23 ოქტომბერს, დილის 10 საათისათვის აქ უკვე 37 ავტომობილი და 200-მდე ვაჭარი ელოდებოდა მუშტარს. გარდა ამისა, სარეალიზაციოდ იყო გამზადებული ყუთებში, უსუფთაო ქვაბებში, ვედროებსა და ტომრებში ჩაყრილი სხვადასხვა პროდუქტები.

— ეს პროდუქტები, რომ კანონით დადგენილი წესით გაყიდულიყო, სახელმწიფო სალაროს დამატებით 800-900 მანეთი შეემატებოდა — გვითხრეს ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის დირექციაში.

ვფიქრობთ, დროა წესრიგი დავამყაროთ ნამეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის საქმეში.

**ო. სამხარაძე.**
**სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი.**

**რედაქციისაგან:**

**შემოდგომა უკვე მიიწურა, დადგა ზამთარი, საკვანძო სადგურის ტერიტორია თავისთავად დაცარიელდა საშემოდგომო პროდუქტებით მოვაჭრეებისაგან, ახლო მომავალში კი, როგორც სათანადო სახელმწიფო დაწესებულებებს, ასევე 26 კომისრის რაიონის შს რაიგანყოფილებასა და სამსახურებსაც წლევანდელი სეზონის მაგალითის გათვალისწინება მართებთ წერილში გამოთქმული შენიშვნები რომ გამოსწორდეს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაღალი შეგნებით



მერაბ არჩილის ძე ყანდორელაშვილი ქ. გორის შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ კომკავშირული საგზურით მოვიდა. აჩრისის მევენახეობის სამეურნეობათაშორისო მეურნეობის მშრომელებს კარგად ახსოვთ გამრჯე, დისციპლინიანი ახალგაზრდა, რომელიც კეთილსინდისიერად შრომობდა მინდობილ უბანზე.

შემდგომში მერაბმა თავისი მომავალი ცხოვრების გზად შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის რთული და საპასუხისმგებლო უბანი აირჩია. 1980 წლიდან იყო ქ. თბილისის მეტროპოლიტენის დაცვის მილიციელი, ხოლო 1982 წლიდან დღემდე შინაგან საქმეთა გორის საქალაქო განყოფილების საპატრულო — საგუშაგო სამსახურის ოცეულის მილიციელია, მაღალი პასუხისმგებლობით მსახურობს და აქტიური წვლილი შეაქვს საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში, მრავალჯერ დაუკავებია საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევები, მონაწილეობს ოპერატიულ ღონისძიებებში. აქტიური მუშაობისათვის გამოცხადებული აქვს ხელმძღვანელობის მადლობები.

უფრო მეტი ინიციატივა, პრინციპულობა და ყურადღება სამომსახურეო უბანზე, ასეთი დევიზით გადის სამორიგეო პოსტზე რიგითი მილიციელი მ. ყანდორელაშვილი.

**მ. დალაქიშვილი,**
გორის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი.

# გზა გადავუკეტოთ სპეკულანტებს

**ჩვენი** რესპუბლიკის სუბტროპიკულ ზონაში დაიწყო ციტრუსების მასობრივი კრეფა. მეციტრუსეთა მთელი წლის პატიოსანი შრომის ოქროსფერმა ნაყოფმა უკვე დაამშვენა ჩვენი სუფრა. სამწუხაროდ, იოლად გამდიდრების მოყვარულნი დღესაც არ იშლიან თავისას — რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასპეკულაციოდ გააქვთ ციტრუსები. მოსავლის აღების პერიოდში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ შინაგან საქმეთა განყოფილებებს, რომლებმაც დროულად უნდა გამოავლინონ მსგავსი ფაქტები. აჭარისა და აფხაზეთის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების თანამშრომლებმა. მიმდინარე წლის დასაწყისში სპეკულანტებს ჩამოართვეს სარეალიზაციოდ გამზადებული ასობით კილოგრამი ციტრუსები. ბათუმის, ქობულეთისა და ნატანების რკინიგზის სადგურებში სასპეკულაციოდ გამზადებული ციტრუსების (1200 კგ-მდე) გამოვლენაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მილიციის კაპიტნებმა ა. ირემაძემ, ტ. მეფარიშვილმა, თ. დოლიძემ, ს. თავაძემ, მიილციის სერჟანტებმა ა. ჯოჯუამ, ნ. კვერეიშვილმა, მილიციელმა ტ. დოლიძემ. სოხუმსა და ახალ ათონში სპეკულანტებს ციტრუსები (2800-კგ-მდე) ჩამოართვეს მილიციის უფროსმა ლეიტენანტებმა მ. კორძახიამ, რ. ლომიძემ, ზემდეგმა ს. ჩიტაიამ და სერჟანტმა ე. ზეითუნიანმა.

**რედაქციისაგან: ჩვენი გაზეთის რედაქცია უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ მასალებს ციტრუსების ახალი მოსავლის აღების მიმდინარეობაზე, გაგაცნობთ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლებს, რომელთა პროფესიული ოსტატობისა და ინტუიციის წყალობით აღიკვეთა რესპუბლიკიდან ციტრუსების სასპეკულაციოდ გატანის ფაქტები.**

# ერთობლივი ღონისძიება

**ბოლო** დროს სოც. საკ. დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი და სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურების შორის ურთიერთ ინფორმაციების გაცვლამ კარგი შედეგი გამოიღო.

ამის ნათელი, დადასტურებაა მიმდინარე წლის 18 აგვისტოს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს სოც. საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი ოპერწმუნებულის მილიციის მაიორის ი. გორგილაძის მიერ მიღებული ინფორმაცია; იმის შესახებ, რომ ქ. ბათუმში ჩამოსულა საეჭვო პიროვნება, რომელსაც ჩამოყვანილი ჰყავს მსუბუქი ავტომანქანა და ეძებს მანქანის მყიდველს.

აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით ერთობლივი ღონისძიება გატარდა სამინისტროს სს სამძებრო განყოფილების უფროს ოპერწმუნებულ, მილიციის მაიორ გ. ნადირაძესთან ერთად.

ღონისძიებების გატარების დროს დადგინდა, რომ აღნიშნულმა პიროვნებამ ვერ შეძლო მანქანის რეალიზაცია და ღამის საათებში 20 აგვისტოს აპირებდა წასვლას სხვა ქალაქში.

მართლაც იმ დროს, როცა აღნიშნულმა პიროვნებამ აამუშავა მანქანა, იგი დააკავეს. დამნაშავე აღმოჩნდა მოქალაქე ვ. ნ. ხელეზნიოვი, 1962 წელს დაბადებული, მცხ. მოსკოვის ოლქის ქ. ზაგორსკში, ვ. ნ. ხელეზნიოვი ეტაპირებულია ქ. ზაგორსკში დანაშაულის ჩადენის ადგილზე.

**თ. თავდგირიძე,**
აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსის თანაშემწე, მილიციის კაპიტანი.

# ТОЛЬКО ФАКТЫ

25 ноября около села Приморское Гудаутского района трое неустановленных преступников под угрозой огнестрельного оружия отобрали у М. Ферзиба, водителя Сухумского ЛТАТП, закрепленную за ним автомашину «Москвич-2140» «такси» и скрылись на ней. Принятыми мерами сотрудниками ОУР МВД Абхазской АССР и Гудаутского РОВД установлен и задержан К. Алиев, у которого изъят самодельный пистолет с 5-ю боепатронами от малокалиберной винтовки. Автомашина обнаружена и в сохранности возвращена предприятию.

◆

С 21 по 27 ноября сотрудниками ОБ ДПС УВД Тбилгорисполкома выявлено 6 фактов использования автотранспортных средств в личных корыстных целях.

◆

28 ноября на посту ГАИ «Красный мост» Марнеульского района сотрудниками Гардабанского ММВ задержана автомашина КамАЗ-5410, принадлежащая автотранспортному объединению г. Макеевка Донецкой области и управляемая водителем Ю. Чудных, который пытался вывезти за пределы республики 5025 кг. мандаринов, принадлежащих неустановленным лицам. Груз сдан в Руставский плодоовощторг.

◆

28 ноября участковыми инспекторами РОВД района им. 26 комиссаров г. Тбилиси и другими службами в результате проведения оперативно-профилактических мероприятий уличен Т. Чибурданидзе, водитель АТП «Грузвиноградпрома», который 80 литров вина заводского производства продал за 120 рублей. У него же по месту жительства обнаружено и изъято 2000 литров вина, 60 литров водки домашней выработки, фильтрующий аппарат и электронасос для перекачивания вина.

◆

29 ноября в бесхозном помещении сотрудниками ОУР Ленинского РОВД г. Тбилиси обнаружено и изъято 12 кг. гашиша, принадлежащих ранее задержанным Ю. Сабанову и С. Шаову.

◆

30 ноября сотрудниками Гардабанского РОВД уличены Р. Мамедов и Я. Бадышев, которые, являясь материально ответственными лицами, с Гамарджвебской птицефабрики похитили кур и комбикорма соответственно на сумму 5338 и 1387 рублей. Часть похищенного изъята.

# „მოგზაურობას" წერტილი დაუსვეს

**ღამის** თორმეტი საათი არც იქნებოდა. სახელმწიფო ავტოინსპექციის „კობის" პოსტს ავტომანქანა გაზ-24 „ტაქსი" მიუახლოვდა. მანქანაში სამნი ისხდნენ მძღოლის გარდა. დუშეთის სახელმწიფო ავტოინსპექციის ავტოინსპექტორებმა: მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა კ. სააკაშვილმა, სერჟანტმა ჯ. ჭალიბაურმა და უმცროსმა სერჟანტმა გ. გვრიტიშვილმა მძღოლს გაჩერება მოსთხოვეს. მან ავტოინსპექტორებს უყოყმანოდ გაუწოდა საბუთები. „ტაქსი" ქ. ნალჩიკის ავტოპარკს ეკუთვნოდა, რომელსაც მართავდა ამავე ქალაქის მკვიდრი ს. ელეევი, ავტოინსპექტორები მგზავრების ვინაობით დაინტერესდნენ: ი. კიზენკო, 1961 წ. დაბადებული, ვცხოვრობ ნალჩიკში, ვმუშაობ „ყაბარდოგაზის" კანტორაში — წარუდგა ერთი მათგანი. დანარჩენ ორს სახეზე შეცბუნება ეტყობოდა, ამან ცოტა არ იყოს დააეჭვა მილიციის თანამშრომლები და შემოწმების მიზნით მათი ტვირთი გახსნეს. ჩეკისტურმა ალღომ არც უმტყუნათ: „ტვირთი", 3 კგ. და 200 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება „ანაშა" აღმოჩნდა. დადგინდა ისიც, რომ მათი მფლობელები კანონთან ადრეც საკმაოდ ყოფილან შეთამამებულნი:

ნ. დიგანი, 1952 წ. დაბადებული ქ. მახარაძის მკვიდრი ადრე ოთხჯერ ნასამართლევი, ძიებაში მყოფი.

ხ. აიდაროვი, 1986 წ. დაბადებული, ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ირაფის რაიონის სოფელ ჩიკოლას მკვიდრი, ადრე სამჯერ ნასამართლევი, ისიც ძებნაში მყოფი, სარგებლობდა ძმის პასპორტით. მათ „მოგზაურობას" წერტილი დაუსვეს დუშეთელმა ავტოინსპექტორებმა.

ეს ყველაფერი 17 ნოემბერს მოხდა, რამდენიმე დღის შემდეგ, 24 ნოემბერს კი მათვე დააკავეს ავტომანქანა „ვაზ-21013", რომელიც ეკუთვნოდა აზერბაიჯანის სსრ შამხორის რ-ის სოფ. ტაჩაკენდის მცხოვრებ გ. ალიევს და მართავდა შვილი ჯ. ალიევი. ავტომანქანაში ორი მგზავრი იჯდა: ირინა კაგლიაკი, 1965 წ. დაბადებული, ქ. ესენდუკის მკვიდრი, უმუშევარი და ე. ისმაილოვი, 1967 წ. დაბადებული, სოფელ ტაზაკენდის მკვიდრი, ისიც უმუშევარი. ი. კაგლიაკს შემოწმებისას აღმოუჩინეს 7 გრამი „ანაშა", რომელიც, როგორც თვითონ განაცხადა, ე. ისმაილოვისგან შეუძენია.

ამჟამად ორივე საქმეს ყაზბეგის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება იძიებს. დამნაშავენი საკადრისად დაისჯებიან. ნარკოტიკების რეალიზატორები და მომხმარებლები გარკვეული ხნით ჩამოშორდებიან საზოგადოებას. რაშიდაც დიდი წვლილი მიუძღვის დუშეთის რ-ის სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებსაც.

**ვ. ნადირაძე**

# ДУРМАН ВНЕ ЗАКОНА

Жителя села Авневи Знаурского района Левана Капанадзе в последнее время одолевали невеселые размышления. Работа в колхозе не ладилась, бригадир высказывал справедливое недовольство частыми опозданиями и отлучками с работы, которую Леван, к тому же, делал спустя рукава. И тут его осенила «золотая» мысль — заняться собственным бизнесом, пусть и нечистоплотным, но обещающим немалые доходы — поставлять наркотическую отраву тем, для кого дурман стал пределом желаний, заслонил все многообразие жизни.

Для реализации своего плана он решил съездить в те места, где когда-то проходил срочную службу, знал все ходы-выходы и, главное, где мог раздобыть смена конопли. Затем, в соответствии с намеченной программой, следовало по возвращении домой разбить делянку где-нибудь подальше от любопытных глаз и в ударном темпе провести «весеннюю посевную кампанию». После этого наш земледелец - коноплевод рассчитывал собрать урожай, обработать его и... подставляй ладони под золотой дождь.

Сказано — сделано. Все, кроме золотого дождя, которому не дали пролиться сотрудники ОУР УВД Юго-Осетии — начальник отдела капитан милиции Т. Джиоев, оперуполномоченные лейтенант милиции В. Валиев и капитан милиции А. Миндиашвили. Вместо заветного Эльдорадо перед неудавшимся бизнесменом от конопли предстала грустная картина камеры изолятора временного содержания: нары, табурет, привинченный к полу, и т. д.

«Когда задержали Л. Капанадзе, то при личном досмотре у него было изъято 6,2 гр. гашиша, — рассказывает старший следователь СО УВД Юго-Осетии В. Джалабадзе, — при обыске в Авневи на чердаке дома было обнаружено 700 гр. листьев конопли — сырья, которое Л. Капанадзе собирался обработать и реализовать, разумеется, с выгодой для себя. Из такого количества сырья можно изготовить 400 гр. гашиша».

Как будто немного, но ведь сколько людских судеб могло быть изломано, исковеркано этими граммами, если бы сотрудники милиции, действуя умело и оперативно, вовремя не перекрыли дорогу распространению отравы.

**Т. ГУЦМАЗТЫ,**
старший лейтенант милиции, инструктор пресс-группы политотдела УВД Юго-Осетии.

# ერთად უნდა აღვზარდოთ

**მომავალი** თაობის სწორად აღზრდის საქმეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თავისუფალი დროის სწორ ორგანიზაციას.

ამ რთული ამოცანის განხორციელებაში უდიდესი პასუხისმგებლობა გვაკისრია ჩვენ, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციას. მცხეთის კომკავშირის რაიკომთან და სასოფლო საბჭოებთან ერთად სისტემატურად ტარდება შემოვლარეიდები. ვავლენთ უმიზნოდ მოხეტიალე, დროებით უმუშევარ, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ მოზარდებს, ყოველ მათგანზე შესაბამის შეტყობინებას ვგზავნით სასწავლო თუ სამუშაო ადგილებზე. სისტემატიურად ვამოწმებთ არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციაში აღრიცხვაზე მყოფ მოზარდს ყველა მათგანზე მიმაგრებულია საზოგადოებრივი აღმზრდელი, შეფი, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისია.

ამ ზაფხულს ნატახტრის საბჭოთა მეურნეობის მუშამ მ. კენჭიშვილმა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული — შეიპარა მეზობლის ბინაში და მოიპარა ფული. ეს მოხდა სწორედ იმიტომ, რომ მას „გაუჩნდა" ზედმეტი თავისუფალი დრო, რომლის სწორ ორგანიზაციასაც, არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციამ, კომკავშირის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ არ მიაქცია ყურადღება. შედეგად კი 16 წლის ახალგაზრდა რამდენიმე წლით უნდა ჩამოშორდეს საზოგადოებას.

სამართალდარღვევების პროფილაქტიკის თვალსაზრისით ნაკლებ ეფექტური მუშაობა შეინიშნება მუხრანისა და მისაქციელის სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე. აქ თითქმის ჩაშლილია კულტსაგანმანათლებლო ღონისძიებები, გამოკეტილია ბიბლიოთეკები.

არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექცია არ დაიშურებს ძალასა და ენერგიას, რათა აღკვეთოს მოზარდთა მიერ დანაშაულის ჩადენა, გზაზე დააყენოს ძნელადაღსაზრდელი. ეს კი სკოლასთან, ოჯახთან, საზოგადოებასთან მჭიდრო კონტაქტით, ურთიერთშეთანხმებული, მიზანმიმართული მუშაობით განხორციელდება ჩვენ ერთად უნდა ავღზარდოთ საზოგადოების ღირსეული მოქალაქე.

**ც. ლუაშვილი,**
მცხეთის შს რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის უფროსი ინსპექტორი, მილიციის ლეიტენანტი.

## ТАК СЛУЖАТ НАШИ ЗЕМЛЯКИ

# На боевом посту

Радостное событие произошло на днях в семье сотрудницы аппарата Управления кадров МВД ГССР Ларисы Григорьевны Устянц — получено благодарственное письмо от командования воинской части, где служит ее сын Г. Устянц.

«Ваш сын Григорий служит за пределами Родины, в дружественной стране. У командования, политического отдела, всего воинского коллектива сложилось о нем самое хорошее мнение. Он свято выполняет почетный долг советского воина, патриота-интернационалиста, в повседневном труде проявляет высокую исполнительность, честность, добросовестность и другие лучшие качества, — пишут командир и начальник политотдела части. — От имени всех сослуживцев и от себя лично выражаем Вам сердечную благодарность за воспитание такого сына — надежного воина, славного защитника завоеваний социализма. Вы можете по праву гордиться им. Желаем Вам доброго здоровья, большого личного счастья и всяческих успехов».

Коллективу редакции остается только присоединиться к этим словам благодарности Ларисе Григорьевне и пожелать ее сыну Григорию и в дальнейшем столь же уверенно и надежно выполнять свой воинский долг.

სპორტი — СПОРТ

# СОРЕВНУЮТСЯ ПОЖАРНЫЕ



На днях в Тбилиси на спортивной базе Учебного центра Управления пожарной охраны МВД ГССР завершился VI лично-командный чемпионат министерства по пожарно-прикладному спорту, посвященный 70-летию советской милиции. В нем приняло участие 72 профессиональных пожарных из двенадцати команд — победительниц зональных соревнований.

Программа чемпионата, в котором выступили команды, представлявшие пожарные подразделения столицы республики, городов Кутаиси, Поти, Рустави, включала три вида состязаний — боевое развертывание, подъемы по выдвижной лестнице в окно 3-го этажа и по штурмовой лестнице в окно 4-го этажа учебной башни. Перед началом соревнований многочисленные зрители стали свидетелями торжественного открытия и парада участников.

В первом виде программы — боевом развертывании лучшее время показали представители ВПЧ-33 города Батуми, завоевавшие таким образом звание чемпионов. В составе команды-победительницы выступали М. Цинцадзе, Р. Гочмагадзе, Э. Патарая, Л. Топуридзе, М. Кохидзе и М. Шушанидзе. Второе и третье места в этом виде программы заняли соответственно команды подразделения пожарной охраны района им. 26 комиссаров г. Тбилиси и ВПЧ-34 города Батуми.

Интересно и азартно проходили соревнования по подъему по выдвижной лестнице, где вне конкуренции оказались представители пожарного подразделения Кировского района г. Тбилиси Р. Сихарулидзе и В. Русейшвили. Второе место также заняли тбилисцы — М. Микеладзе и О. Дзамукашвили из СВПЧ-3, а тройку призеров замкнули батумские пожарные из ВПЧ-32 О. Абуладзе и С. Гуламберидзе.

В последнем виде программы — подъеме по штурмовой лестнице — борьба в основном шла между чемпионами Грузии разных лет. Победу одержал, как и предполагалось, рекордсмен Грузии в этом виде В. Русейшвили, на втором месте — многократный чемпион СССР и победитель международных турниров мастер спорта В. Сихарулидзе, на третьем — победитель всесоюзного турнира памяти мастера спорта СССР Бондо Шанидзе, представитель пожарного подразделения г. Рустави мастер спорта С. Варшанидзе.

Первое место в общекомандном зачете завоевал дружный коллектив ВПЧ-34 г. Батуми (начальник подразделения майор внутренней службы Н. Цецхладзе), на второе вышли пожарные района им. 26 комиссаров г. Тбилиси (начальник подразделения подполковник внутренней службы В. Петриашвили), третьим призером стала команда ВПЧ-31 г. Батуми (начальник подразделения майор внутренней службы З. Концелидзе).

«Соревнования прошли в интересной и напряженной борьбе, — поделился своими впечатлениями главный судья чемпионата заместитель председателя Президиума Федерации пожарно-прикладного спорта республики, заместитель начальника УПО МВД ГССР подполковник внутренней службы Н. Циклаури, — они сыграли свою важную роль в повышении боеготовности пожарных подразделений, совершенствовании мастерства участников чемпионата, которое очень пригодится им в повседневной нелегкой службе».

**А. МАЛАЯНЦ,**
**судья всесоюзной категории, лейтенант внутренней службы, инспектор ОПО УВД Тбилгорисполкома.**

# ШАХМАТНЫЙ КОНКУРС

**ЗАДАНИЯ VI ТУРА**

**ВОПРОС № 6**

**Кто был первым русским шахматным мастером, завоевавшим славу не только в своей стране, но и за ее пределами?**

**ЗАДАЧА № 6**



**Белые начинают и дают мат в три хода**

**ЭТЮД № 6**



**Белые начинают и выигрывают**

# მიმქღვნა თანამშრომლის ხსოვნას

ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილებაში კიდევ ერთ კარგ ღონისძიებას ჩაეყარა საფუძველი — განყოფილების პოლიტიკური ნაწილის, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივით დაწესდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ტრაგიკულად დაღუპული თანამშრომლის სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ინსპექტორის, მილიციის ლეიტენანტ სარდიონ მიხეილის ძე ლუბიანურის სახელობის გარდამავალი თასი, რომელიც ამიერიდან ყოველწლიურად გადაეცემა მინი ფეხბურთში შს განყოფილების პირველობაზე გამარჯვებულ გუნდს.

წლევანდელმა შეჯიბრებამ ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩაიარა. ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ სამედიცინო გამოსაფხიზლებლისა და საპატრულო-საგუშაგო სამსახურის ქვედანაყოფის ფეხბურთელთა გუნდები, თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და გაიმარჯვა საპატრულო-საგუშაგო სამსახურის გუნდმა.

გამარჯვებულ გუნდს თასი გადასცა ს. ლუბიანურის ვაჟიშვილმა ოთხი წლის დავითმა.

**ვ. ლეჟავა,**
**რუსთავის შს განყოფილების პოლიტნაწილის უფროსი.**

# ОПРЕДЕЛЕНЫ ПОБЕДИТЕЛИ

**В городе Батуми прошел чемпионат МВД ГССР по борьбе дзюдо, в котором принимали участие 12 команд республики.**

**Призерами стали: в весовой категории до 60 кг — Г. Давитадзе (МВД Аджарской АССР), Т. Аббасов (ГОВД г. Рустави), К. Кварацхелия (МВД Абхазской АССР); до 65 кг — Н. Козаев (УВД г. Тбилиси), П. Чихелидзе (ТФМВШМ МВД СССР), З. Бибинидзе (МВД Аджарской АССР); до 71 кг — Д. Мартколишвили (УВД г. Тбилиси), Д. Нануашвили (УИТУ МВД ГССР), А. Суладзе (в/ч); до 78 кг — А. Циклаури (УВДТ МВД ГССР), И. Аспанадзе (Карельский РОВД), А. Велиадзе (МВД Аджарской АССР); до 86 кг С. Шабуришвили (Цагерский РОВД), Г. Персашвили (ТФМВШМ МВД СССР), Р. Шуквани (УВД г. Тбилиси); до 95 кг — В. Обгаидзе (ТФМВШМ МВД СССР), Г. Дзагошвили (УВДТ МВД ГССР), Л. Кочадзе (УВД г. Кутаиси); свыше 95 кг — Г. Коберидзе (УИТУ МВД ГССР), Г. Коридзе (ТФМВШМ МВД СССР), Д. Окруашвили (ТФМВШМ МВД СССР).**

**По окончании соревнований была составлена сборная органов внутренних дел республики, которая выступит в чемпионате МВД СССР.**

## ОТВЕТЫ НА КРОССВОРД, ОПУБЛИКОВАННЫЙ В № 22

**ПО ГОРИЗОНТАЛИ:** 5. Осмотр. 6. Палата. 10. Сенат. 11. Ромов. 12. Судимость. 15. Акцепт. 18. Обычай. 19. Руденко. 20. Санкция. 21. Шпионаж. 24. Ломбард. 26. Прения. 27. Синдик. 31. Конвенция. 33. Штраф. 34. Шорин. 35. Оговор. 36. Чартер.

**ПО ВЕРТИКАЛИ:** 1. Устав. 2. Статут. 3. Защита. 4. Отвод. 7. Демист. 8. Комитет. 9. Состав. 13. Опознание. 14. Обвинение. 16. Аудитор. 17. Эксперт. 22. Абонент. 23. Кристи. 25. Миссия. 28. Допрос. 29. Фискал. 30. Гаага. 32. Пробег.

ზაალ მესხიშვილი — რომანი



# მზე ისევ ამოანათებს

— ზემდეგო, თქვენი სახელი? — ჰკითხა თამაზმა მოტოციკლისტს.

— მე მოძრაობის მომწესრიგებელი პოლკის მუშაკი, ზემდეგი ნოდარ მუშკუდიანი გახლავართ.

— ჰოდა, ასე ნოდარ, ახლა ჩვენ ორივენი მეტად რთულ დავალებას ვასრულებთ. თქვენ შეირბინეთ აეროვაგზლის მილიციის პუნქტში, იპოვეთ გიორგი ძიძიგური, აუხსენით რომ მე, აქა ვარ და საშიში ბოროტმოქმედის კვალს მივყვები. იქიდან დაურეკეთ ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსს, გადაეცით, რომ მარკაროვი აღმოჩენილია. ვიმყოფებით აეროვაგზლის ტერიტორიაზე. მერე ძიძიგურთან ერთად მომძებნეთ, რომელიმე დარბაზში ვიქნები, ჩემს ნიშანს დაელოდეთ.

აეროვაგზლის შენობაში უამრავი ხალხი ირეოდა. დროდადრო ისმოდა დიქტორი ქალის ხმა. მგზავრები თითქმის ყველა სალაროსთან იდგნენ. იყო ერთი ჟრიამული და ფუსფუსი. მერკვილაძემ ქვედა სართულზე ყველა სალაროს წყნარი ნაბიჯით ჩამოუარა. მგზავრებს ერთს შეავლებდა თვალს და კვლავ მშვიდად მიაბიჯებდა. მარკაროვი არ ჩანდა.

მერკვილაძემ იფიქრა ალბათ ზევით ავიდაო და ნელა აყვა მეორე სართულისაკენ ამავალ საფეხურებს. მერე მშვიდი, თითქოსდა უდარდელი კაცის ნაბიჯებით სკამებს ჩამოუარა. სამი, ოთხი მგზავრი თითქმის ყველა სკამზე იჯდა, მაგრამ ნაცრისფერპალტოიანი კაცი არ ჩანდა. მერკვილაძე გრძნობდა რომ უკვე წონასწორობას ჰკარგავდა. რა უნდა მომხდარიყო, ნუთუ ასე თვალსა და ხელს შუა გაიპარა ეს კაცი. ღმერთო, ეს ხომ პირდაპირ დაუჯერებელია. გინდა იქით უკმიე გუნდრუკი და გინდა აქეთ, მარკაროვი მიწამ ჩაყლაპა... პირში ჩალაგამოვლებული მერკვილაძე დარბაზიდან დარბაზს ასკდებოდა, მაგრამ ნაცრისფერპალტოიანი კაცი ვერსად ნახა მერე ის იყო თამაზმა ლეიტენანტ ძიძიგურსა და კიდევ ორ მილიციელს მოჰკრა თვალი. ზემდეგი მუშკუდიანიც მათთან იყო. მილიციელებმა დინჯად აუარეს გვერდი სალაროებს და ასევე დინჯად კიბეებს მეორე სართულისაკენ აჰყვნენ.

თამაზმა მეორე მხრიდან შემოუარა მოსაცდელს და სულ საწინააღმდეგო მხრიდან ავიდა ზევით. ცოტაც გაიარა და აეროპორტის ბუფეტისა და აივნის კუთხეში სკამზე არხეინად ჩამომჯდარ კაცს მოჰკრა თვალი. ყავისფერი მოკლე ჯუბა ეცვა. თავზე შლიაპა დაეხურა, დიდ კეხიან ცხვირზე სათვალე ეკეთა. ერთი შეხედა მერკვილაძემ და ისე გაიარა, ვითომცდა არაფერიაო. აი შვილოსა, მაინც გიცანი ბატკნის ტყავში გახვეულო მგელო. მეორე ხელი ტანსაცმელი ალბათ ამ ჩემოდნით მიჰქონდა...

მერკვილაძემ გაიარა და წინ მილიციის მუშაკებიც შემოეფეთნენ. მათკენ არც კი გაუხედია. იცოდა რომ ამით შეიძლება ყველაფერი გაფუჭებულიყო. გვერდი უდარდელად აუარა ძიძიგურს და თვალი გაადევნა მის წინ ტყავგადაკრულ გრძელ სკამზე ჩამომჯდარ დედაშვილს. დედა თვლემდა, ბიჭი კიდევ, რომელიც ალბათ ოთხიოდე წლისა თუ იქნებოდა, აბურდულ თმებზე ეფერებოდა დედას.

მერკვილაძემ გაიარა და გაიღიმა. მერე ისევ გაღიმებულმა თავი ოდნავ შემოაბრუნა და დედა-შვილის უკან ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მარკაროვს. თავი მასაც მოეღრიცა და აქეთ იყურებოდა. თუმცა ეს ყველაფერი ერთ წუთს მოხდა, მაგრამ მკვლელის ზიზღით სავსე, ცივი გამოხედვა მაინც აღიბეჭდა ოპერატიული მუშაკის თვალებში.

მერკვილაძეს მეტი აღარ მოუხედავს. მოსაცდელის ბოლოში გავიდა და მოაჯირთან დადგა. ორიოდე წუთი იდგა მოაჯირთან, სალაროებისაკენ იყურებოდა. სულ იმას ფიქრობდა, მკვლელმა კიდევ რაიმე ახალი ილეთი არ მოიგონოსო, შემობრუნდა და ისევ ბუფეტის მხარეს წამოვიდა. სწორედ ამ დროს დიქტორმა ქალმა სოხუმის რეისზე ჩასხდომა გამოაცხადა.

თამაზმა შორიდან დაინახა როგორ წამოდგა კუთხეში მჯდარი სათვალიანი კაცი. იგი გასასვლელს მიადგა. ამ დროს ძიძიგურის ჯგუფიც გაუსწორდა და მერკვილაძემ მათ ხმამაღლა დაუძახა:

— სოხუმის რეისზე მიდის. მანქანით წამოდით ტრასისაკენ! მერკვილაძემ პირადობის მოწმობა ამოიღო და გასასვლელთან მდგარ მგზავრებს მიაშურა. რიგი ნელ-ნელა თხელდებოდა თამაზმა კართან მდგარ თანამშრომელს პირადობის მოწმობა აჩვენა. მერე ყურში ორიოდე სიტყვაც ჩასჩურჩულა. იმ კაცმა ტავი დაუქნია და გაატარა.

მარკაროვი უკვე ავტობუსთან იდგა და ნერვიულად ცქმუტავდა. მერკვილაძე შორიდან ხედავდა მის ბრგე მხრებს და საკმაოდ ძველ შლიაპას. მერე თამაზიც შევიდა ავტობუსში. მხოლოდ წინა კარიდან არ ასულა, სადაც მარკაროვი იდგა. უკანა კარიდან ავიდა და იქვე გაჩერდა. ახლა მას ამ კაცისათვის ზურგი ჰქონდა შექცეული. თითქოსდა სრულებითაც არ აინტერესებდა მისი ასავალ-დასავალი.

თვითმფრინავზე ტრაპი მიაყენეს. მარკაროვმა პასპორტი და ბილეთი მოამზადა და ის-ის იყო მორიგესათვის უნდა გადაეწოდებინა, რომ მაშინვე იგრძნო, რომ ვილაცეებმა მძლავრად ჩაავლეს ხელები ორთავ მხარეს. მარკაროვი შეინძრა, მაგრამ მხრების საშინელი ტკივილი იგრძნო და სიმწრისგან კბილები დააღრჭიალა. კიდევ ერთი წამი და სათვალიანი კაცი მანქანაში აღმოჩნდა.

ოცი წუთის შემდეგ თამაზ მერკვილაძე პოლკოვნიკ ვაშალომიძეს მოახსენებდა:

— ამხანაგო პოლკოვნიკო, დავალება შესრულებულია. მარკაროვი შევიპყარით... კიდევ ცოტა ხანი და პოლკოვნიკი ვაშალომიძე ტელეფონით მინისტრს გადასცემდა: — ამხანაგო მინისტრო. ოპერაცია „ჰაობი“ წარმატებით დამთავრდა. ცენტრალურ უნივერმაღსა და სოფელ ბერმუხას საბჭოთა მეურნეობაში მოკალათებული დამნაშავეები შეპყრობილია. მათ დიდძალი სახელმწიფო თანხის დატაცება მოასწრეს, დაპატიმრებულია აგრეთვე მეტად საშიში დამნაშავე, მკვლელი აშოტ არშაკის ძე მარკაროვი, იგივე შოთა მარკარაშვილი. სამართალში მიცემულთა ხამალავებიდან დიდძალი თანხა და ძვირფასეულობაა ამოღებული. საქმის გამოძიება მიმდინარეობს.

მარკაროვს პირველ და მეორე დაკითხვაზე ნირიც არ შეუცვლია ყველა წაყენებული ბრალდება უარყო. მესამედ რომ შეიყვანეს შეშაბერიძესთან, კვლავ ამაყად ჩამოჯდა სკამზე და სიგარეტის მოწევის უფლება ითხოვა. უშანგი შეშაბერიძემ უფლება დართო, ისიც მის ყოველ მოძრაობას თვალს არ აშორებდა. მერე ქაღალდების დასტა გვერდზე გაასრიალა და ფანქრით მაგიდაზე დააკაკუნა.

გაგრძელება, დასაწყისი იხ. 12-19

(გაგრძელება იქნება)

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025. გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380025. УЛ. ГОГОЛЯ, 23 ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 15417
რედაქტორი ა. კობალაძე